ნახშირბადის ნაკვალევი

მოამზადა
მაია ბლიაძემ

რა არის ნახშირბადის ნაკვალევი?

- გარემოზე ადამიანის ზემოქმედების გაზომვის მრავალი საშუალება არსებობს.
- მათ შორის ერთ-ერთია ნახშირბადის ნაკვალევი. ის სათბურის აირების იმ საერთო რაოდენობას ზომავს, რომელიც ატმოსფეროში ადამიანის ზემოქმედების, საწარმოებისა და კომპანიების საქმიანობის, ღონისძიებების ან ნებისმიერი პირის შესაბამისი მოქმედების გამო გაიფრქვევა.
- ნახშირბადის ნაკვალევი თითოეული ინდივიდის მიერ წარმოებული ნახშირბადის ემისიის ექვივალენტია.

ნახშირბადის ნაკვალევი

ტერმინს „ნახშირბადის ნაკვალევი“ ვიყენებთ, როგორც ერთგვარ სტენოგრამას.

ტერმინში „ნახშიბადი“ ნებისმიერი სათბურის აირი მოიაზრება, ხოლო "ნაკვალევი" მეტაფორაა აბსოლუტური გავლენის შესახებ, რომელიც რამეს ან ვინმეს აქვს.

ნახშირბადის ნაკვალევი

- ჩვენ ირგვლივ ყველაფერს - დაწყებული მობილური ტელეფონით და კომპიუტერით, რომელსაც ვიყენებთ, დამთავრებული მაისურით, რომელსაც ვიცვამთ - ნახშირბადის ნაკვალევი აქვს.
- ჩვენი ყოველწლიური გადაფრენები და მანქანით მგზავრობა, ჩვენ მიერ გამოყენებული ხორცი და რძის პროდუქტები, ასევე ტოვებს ნახშირბადის ნაკვალევს გარემოზე.

Carbon_Footprint_simple-explanation_EN.webm

- watch here



ვიდეოს ბმული - https://www.youtube.com/watch?v=8q7_aV8eLUE

იცვლება თუ არა ნახშირბადის ნაკვალევი?

- დედამიწაზე ტემპერატურა ასე სწრაფად არ გაზრდილა ბოლო 800 ათასი წლის განმავლობაში.
- ამის მიზეზია გლობალური ინდუსტრიალიზაცია, წარმოების მუდმივი ზრდა და, შესაბამისად, სათბურის აირების ემისიების ზრდა.
- ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ 2100 წლისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დონემ შესაძლოა 600-800 ppm-ს მიაღწიოს.

ვინ „აწარმოებს“ ნახშირბადს?

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა მოითხოვს ენერგიას საწვავის, ელექტროენერგიის ან სითბოს სახით, რაც ატმოსფეროში სათბურის აირებს გამოყოფს. ამიტომ, ნახშირბადის ნაკვალევის მნიშვნელობა შეიძლება ასოცირებული იყოს ნებისმიერ პროდუქტთან ან საქმიანობასთან.

ნახშირბადის ნაკვალევის სასიცოცხლო ციკლი

რატომ უნდათ მწარმოებლებს თქვენი ტელეფონის განახლება რამდენიმე წელიწადში ერთხელ? როგორ დაგეხმარებათ ერთი და იგივე ტელეფონის ხანგრძლივი ვადით გამოყენება ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებაში?



Apple-ის შეფასებით, iphone 10-ის გამოყენებისას მისი ნახშირბადის ნაკვალევი შეადგენს:

- 95 კგ CO_2
- 85% წარმოება
- მომხმარებლის გამოყენება 11%.
- 3% ტრანსპორტი
- 1% გადამუშავება
- 20023 წელს დაახლოებით 80 მილიონი iphone 6 გაიყიდა.

ნახშირბადის ნაკვალევის სასიცოცხლო ციკლი

- ჯინსი დამზადებულია ბამბისგან, რომელიც დაახლოებით 20 000 ლიტრ წყალს მოითხოვს 1 კილოგრამის წარმოებისთვის. ერთი ჯინსის წარმოებისას დაახლოებით 20 კგ CO_2 გამოიყოფა.
- ლეპტოპის ნახშირბადის ნაკვალევი, დაახლოებით, 350 კგ CO_2-ის ექვივალენტია. ეს მაჩვენებელი შედგება იმ CO_2-ისგან, რომელიც გამოიყოფა ლითონების მოპოვების, მინის და პლასტმასის წარმოების, მაღაზიებში მზა პროდუქციის მიტანის, ასევე, პერსონალური კომპიუტერის მუშაობისთვის საჭირო ელექტროენერგიის გამოყენების დროს.
- მანქანის მართვა 270 გრ CO_2-ის ექვივალენტურია 1 კილომეტრზე.

ნახშირბადის ნაკვალევის შემცირების მნიშვნელობა

- ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება სათბურის აირებისა და მათი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაში დაგვეხმარება.
- ტყეების მასობრივი გაჩეხვის გამო ჰაერში ნახშირბადის კონცენტრაცია იზრდება, რაც, შესაბამისად, დედამიწაზე ტემპერატურის მატებას და კლიმატურ ცვლილებებს იწვევს. თუკი დედამიწაზე ტემპერატურა ძალიან მაღალი იქნება, მასზე სიცოცხლის არსებობა შეუძლებელი გახდება.
- ნახშირბადის ემისიის შემცირება მდგრადი და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისთვის სასიცოცხლოა. ის, ასევე, დაგვიცავს სასარგებლო ბუნებრივი რესურსების გახარჯვისგან.
- ნახშირბადის გამოყოფის შემცირება, ასევე, ეხმარება სხვადასხვა ბიზნესისა და აქტივობის ინიციატივებს, რომლებსაც სასარგებლო წვლილი შეაქვს გარემოს მდგრად განვითარებაში.

მსოფლიოს ქვეყნები ნახშირბადის ნაკვალევის მიხედვით, ტონა 1 სულ მოსახლეზე



გამოთვალე შენი ნახშირბადის ნაკვალევი

- ქართულენოვანი ონლაინკალკულატორი - https://eecgeo.org/calculators/Co2Calculator/index.html#/home

- ინგლისურენოვანი ონლაინკალკულატორი - https://www.carbonfootprint.com

რატომ უნდა შევამციროთ ნახშირბადის ნაკვალევი?

ნახშირბადის ნაკვალევის შეფასების მნიშვნელოვანი სარგებელია:

- მომხმარებლებისთვის სათბურის აირების ემისიების შემცირების შესაძლებლობები;
- ემისიებისა და დაბალი ნახშირბადის განვითარების სტრატეგიების შემუშავება;
- მონიტორინგის სისტემის ხარისხის გაუმჯობესება;
- ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება;
- პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა;
- ემისიების შემცირების ეფექტურობის ჩვენება.

როგორ შევამციროთ ნახშირბადის ნაკვალევი?

- დარგეთ ხეები;
- გამოიყენეთ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი;
- იკვებეთ გარემოს დაცვის გათვალისწინებით;
- შეამცირეთ და გადაამუშავეთ ნარჩენები;
- დაზოგეთ ენერგია;
- მოუფრთხილდით წყალს.



CO_2